საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 3339-03
25/09/2020

2020-2021 სასწავლო წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ბაკალავრიატის საფეხურზე ჩარიცხული სტუდენტებისათვის ერთჯერადად სტიპენდიების დაწესების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 23-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ზ" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-19 მუხლის 1-ლი და მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტი ,,თ" ქვეპუნქტის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილის საზოგადოებასთან ურთიერთობის, მარკეტინგის და სტუდენტური სერვისების მიმართულებით 2020 წლის 8 აპრილის N4592-35, 2020 წლის 23 სექტემბრის N8887-35 სამსახურებრივი ბარათებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 24 სექტემბრის N3 სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე

ვბრძანებ

1. დაწესდეს 1000 -ლარიანი(გადასახადების გარეშე) ერთჯერადი სტიპენდია იმ პირებისათვის, რომლებიც 2020 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე 2020-2021 სასწავლო წელს ჩაირიცხებიან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში და დააკმაყოფილებენ ქვემოთ მოცემულ ერთ-ერთ კრიტერიუმს:
   ა) 2020 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ნებისმიერ საბაკალავრო პროგრამაზე და 2020 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული ქულებით იქნება საქართველოს მასშტაბით 100 ყველაზე მაღალი საკონკურსო ქულის მქონე აბიტურიენტთა შორის;
   ბ) ჩაირიცხება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე და აღნიშნულ ფაკულტეტზე 2020 წელს ჩარიცხულ სტუდენტებს შორის ყველაზე მაღალი საკონკურსო ქულა ექნება;
   გ) ჩაირიცხება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტზე(გარდა სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო პროგრამებისა) და აღნიშნულ ფაკულტეტზე 2020 წელს ჩარიცხულ სტუდენტებს შორის ყველაზე მაღალი საკონკურსო ქულა ექნება;
   დ) ჩაირიცხება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე და აღნიშნულ ფაკულტეტზე 2020 წელს ჩარიცხულ სტუდენტებს შორის ყველაზე მაღალი საკონკურსო ქულა ექნება;

ე) ჩაირიცხება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში და აღნიშნულ სკოლაში 2020 წელს ჩარიცხულ სტუდენტებს შორის ყველაზე მაღალი საკონკურსო ქულა ექნება;

2. დაწესდეს 2000- ლარიანი (გადასახადების გარეშე) STEM-სტიპენდია ერთჯერადად იმ 15 სტუდენტისათვის, რომლებიც 2020 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე 2020-2021 სასწავლო წელს ჩაირიცხებიან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამებზე(კომპიუტერული ინჟინერია, სამოქალაქო ინჟინერია, ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია) და აღნიშნულ პროგრამებზე 2020 წელს ჩარიცხულ 15 საუკეთესო სტუდენტს შორის იქნებიან საკონკურსო ქულებით. აღნიშნული სიტპენდია გაიცემა იმ შემთხვევაშიც თუ პირს მიღებული აქვს სახელმწიფო გრანტი.

3. ამ ბრძანებით დაწესებული ერთი სასტიპენდიო ვაუჩერი გაიცემა ერთ სტუდენტზე. იმ შემთხვევაში, თუ პირი აკმაყოფილებს სასტიპენდიო ვაუჩერის გაცემის ერთზე მეტ პირობას, სტუდენტი მიიღებს თანხობრივად უკეთესი პირობის მქონე ერთ სასტიპენდიო ვაუჩერს;

4. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანებით განსაზღვრული ინფორმაციის უნივერსიტეტის ვებ-გვერდსა და სოციალურ ქსელ ფეისბუქზე განთავსება;

5. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის საჯარო წესით გაცნობა;

6. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და მედიცინის ფაკულტეტს, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, სამართლის სკოლას, ბიზნესის,ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტს, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახურს, აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურს, ადმინისტრაციის სამდივნოს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტს, იურიდიულ სამსახურს, რექტორის აპარატს.

ქეთევან ლაკირბაია

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი